

## „რჩეული ერის“ გაგება ქართულ ჰაგიოგრაფიაში

### ეკა ჭყოიძე

**საკვანძო სიტყვები:** ჰაგიოგრაფია, იდეოლოგია, მესიანიზმი, ათონი, შუა საუკუნეები

მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანობაზე მოქცევით საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ალბათ, არ შეცვდებოდა, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი დაიწყო. ახალმა რელიგიურმა ფაქტორმა გადამწყვეტი როლი ითამაშა იდენტობის ჩამოყალიბების საქმეში. ქართული ნაციონალური იდენტობა საკმაოდ გამოკვეთილად და ნიშანდებული რელიგიურად. „ქრისტიანობა, ეს არაქართული ფენომენი, ფუნქციონირებას იწყებს როგორც ქართული იდენტობის მარკერი. ქართული ერთობა, რომელიც აქამდე საერთო წინაპრის ერთობად მოიაზრებოდა, ტრანსფორმირდა სულიერ ერთობად, ერთობად ქრისტიანში“ [ჩხარტიშვილი 2007:17].

ქართველი ერის გადარჩენისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეთნიკური რჩეულობის იმ იდეოლოგიას, რომელიც წარმოიშვა ქართლის მოქცევის ფაქტის პარალელურად [ჩხარტიშვილი 2009-ა:134]. ზოგადად, ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიები წარმოადგენს ეთნიკური და რელიგიური სენტიმენტების შერწყმის შედეგად აღმოცენებულ სისტემას. ქართული ეთნიკური რჩეულობის კონცეფცია ეთნიკური რჩეულობის არაიმპერიული მოდელია (ანუ არაბიზანტიური და არაალმოსავლური). ის შეიქმნა მაშინ, როცა ბიზანტიური პოლიტიკური თეოლოგია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო და, ბუნებრივია, მისგან არ მომდინარეობს [ჩხარტიშვილი 2009-ა:145-146].

ეთნიკური რჩეულობის რწმენამ თანდათან განავითარა და დიდწილად ხელი შეუწყო ქართული მესიანიზმის ჩამოყალიბებას, რომლის განუყოფელი კომპონენტი საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის იდეაა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მესიანისტური მსოფლმხედველობა საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში აღმოცენდა. ეს პროცესი IX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, ილარიონ ქართველის ულუმბოს მთაზე დამკვიდრების შემდეგ.

ზოგადად მესიანიზმი, ანუ ღმერთის მიერ გამოგზავნილი მხსნელის რწმენა არის მონოთეისტური რელიგიების – იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის წიაღში წარმოშობილი ტრადიცია [გარსია-არენალი 2006:4-

5]. მესიანიზმი რელიგიური აზროვნების ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია, მაგრამ ის აუცილებლად უნდა იქნეს შესწავლილი პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით, თუ ჩვენ გვინდა გავიგოთ და გავიაზროთ მისი გავლენა იმ საზოგადოებაზე, რომლიდანაც ის მომდინარეობს [გარსია-არენალი 2006:3].

ისტორიკოსებსა და პოლიტოლოგებს შორის საზოგადოდ მიღებული და გახიარებულია ის აზრი, რომ პატრიოტიზმიც და ეროვნული ცნობიერებაც, დღევანდელ ტერმინ ნაციონალიზმს რომ ავარიდოთ თავი, თანამედროვეობის კულტურული ტერმინებია. ამ მოსაზრების საფუძველია ის ფაქტი, რომ თავად ტერმინები და მათი განსაზღვრაც თანამედროვეა, თუმცა ადვილად შეიძლება ამ მოსაზრების დაუსაბუთებლობის დამტკიცება [ჭუიზინგა 1972:14]. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეროვნულობის საკითხი ისტორიკოსების კვლევის სფეროცაა და სოციალური მეცნიერებებისაც, თუმც მისი წარმოშობა ერთგვარ გაუგებრობას დღემდე იწვევს. არც ერთ ავტორს იმის ახსნა არ შეუძლია, თუ რატომ არ მოხდა ერის, როგორც დომინანტი პოლიტიკური ფორმის ჩამოყალიბება ევროპაში XVIII საუკუნემდე, მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტურ-კულტურული და, რაც მთავარია, რასობრივი განსხვავებები XVIII საუკუნემდე ბევრად უფრო ადრეც არსებობდა [ტიბი 1990:29].

რელიგიისა და ეთნიკური იდენტობის ურთიერთგავლენის შესახებ შუა საუკუნეებში განსაკუთრებით საინტერესო მასალას გვაძლევს X-XI საუკუნეების ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტები. მართალია, უფრო ადრინდელი პერიოდის, ანუ VIII-X საუკუნეების ორიგინალური ქართული მწერლობის ნიმუშები, როგორიცაა „აბო თბილელის მარტვილობა“, „წმ. ნინოს ცხოვრება“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ეროვნულ-სარწმუნოებრივი სულისკვეთებით არის გაჟღენთილი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის მესიანისტური ხასიათის ნაწარმოები [მახარაშვილი 2009:209]. ასეთი თხზულების შესაქმნელად გარკვეული გარემოა საჭირო და არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ასეთ გარემოდ საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ქართული სამონასტრო ცენტრები იქცა. შესაბამისად, აქ შექმნილ ორიგინალურ ქართულ თხზულებებში ყალიბდება პირველად ქართველობის, როგორც „რჩეული ერის“ და ქართული ენის, როგორც „რჩეული ენის“ იდეა. როგორც ჰქვამთ დავრწმუნდებით, რჩეულობის ეს ორივე კომპონენტი პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაუკავშირდა ღვთისმშობელს და მისადმი ქართველობის წილხვდომილობის იდეას. ამ ყველაფრის უკეთ გასაანალიზებლად უპრიანი იქნება ჯერ ის გარემო მიმოვიხილოთ, სადაც ეს იდეა აღმოცენდა და შემდეგ ის თხზულებები, სადაც ეს იდეა დაფიქსირდა.

მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული, ქართველი ბერ-მონაზვნები ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე მრავალ მონასტერში დასახლდნენ. ამ ეტაპზე სირია-პალესტინასა თუ შავ მთაზე მათი სხვა ეროვნების წარმომადგენელ ბერებთან ურთიერთობაში დაძაბულობა არ შეინიშნებოდა, რადგან

ისინი აქ მარტონი არ იყვნენ. ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლური ნაწილი მრავალეროვანი და მრავალენოვანი იყო. შესაბამისად, ქართველები აქ განსაკუთრებულ შევიწროებას არ განიცდიდნენ. ეს კი „რჩეულობის“ თვით-რწმენის ჩამოსაყალიბებლად ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა იყო.

ბიზანტიის დასავლურ ნაწილში, უფრო კონკრეტულად, საკუთრივ კონსტანტინოპოლსა და მის მახლობლად არსებულ მონასტრებში და, განსაკუთრებით, ათონის მთაზე, ბერძნების ქედმაღლობა და მათი შეუწყნარებლობა სხვა ერებთან მიმართებაში უფრო თვალში საცემი იყო<sup>1</sup>. მათი მცდელობა, ქართველები გამოეცხადებინათ მწვალებლებად, აეკრძალათ მათთვის მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის აღსრულება და, საერთოდ, განედევნათ თავიანთი სავანეებიდან – არაერთხელ ფიზიკურ დაპირისპირებაშიც კი გადაზრდილა. ასეთ პირობებში ქართველი ბერები საჭიროებდნენ თავდასაცავ მექანიზმს. შესაბამისად, „რჩეულობის“ რწმენა იდეოლოგიური თვალსაზრისით იდეალურ გამოსავალს წარმოადგენდა.

ამგვარად, მესიანისტური იდეა ქართველებში ჩნდება ქრისტიან ერებთან (ძირითადად, ბერძნებსა და სომხებთან) დაპირისპირების პროცესში [მახარაშვილი 2009:210]. საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ფორმას კი ათონის მთაზე იღებს, ანუ ერთმორწმენე, მაგრამ არაკეთილმოსურნე, მტრულად განწყობილ გარემოში.

ათონის მთა დღეს არსებული ყველაზე ძველი სამონასტრო „რესპუბლიკა“. მდებარეობს ქალკიდიკის ნახევარკუნძულზე, ჩრდილოეთ საბერძნეთში. ათონის მთა, როგორც სამონასტრო ცენტრი, ოფიციალურად 963 წელს გაფორმდა, როცა ათანასე ათონელმა დიდი ლავრის მონასტერი ააგო. იმავე საუკუნეში, მომდევნო ოცი წლის განმავლობაში ორი ახალი მონასტერი – ვატოპედი და ივირონი დაარსდა. ივერთა, ანუ ქართველთა მონასტერი პირველი არაბერძნული მონასტერი იყო ათონის მთაზე.

ამჟამად ათონზე ოცი მონასტერი ფუნქციონირებს, რომელთაგან ოთხია არაბერძნული: ივერთა (ქართული), ხილანდარი (სერბული), ზოგრაფუ (ბულგარული) და წმ. პანტელეიმონისა (რუსული). ამ ოთხიდან მხოლოდ ორის დაარსებაზე მოგვეპოვება ისტორიული ცნობები. ქართული 981-983 წლებში დაარსდა და აშენდა, ხოლო ხილანდარი – 1198 წელს, ანუ ივირონის დაარსებიდან ორი საუკუნის შემდეგ [პავლიკიანოვი 2001:15-16]. ზოგრაფუს დამაარსებელი გიორგი მხატვარი (მხატვარი ბერძნულად ზოგრაფოსია) 972 წლით დათარიღებულ იმპერატორ იოანე ციმისკის (969-976) ტიპიკონში იხსენიება [პაპახრისანთუ 1992:253-369], თუმცა საწმინდო ცნობები მონასტრის ადრეულ, ანუ ამ პერიოდის ისტორიაზე არ გაგვაჩნია. საზოგადოდ მიღებული აზრის თანახმად, ზოგრაფუ მხოლოდ XIV საუკუნეში იქცა

<sup>1</sup> ბიზანტიის იმპერიაში ბერძნების ეს ამპარტავნული დამოკიდებულება არამც და არამც არ იყო მიმართული მხოლოდ ქართველებისადმი. მათი ამრეზილი და ხშირ შემთხვევაში ზიზლით სავსე დამოკიდებულება, მაგალითად, მეზობელი სომხებისადმი გაცილებით უფრო მძაფრად ვლინდება სხვადასხვა წერილობით წყაროში [კუტავა-დელიგორია 2002:137, 139].

ბულგარულ მონასტრად [პავლიკიანოვი 2001:161-164]. იგივე ბუნდოვანება შეინიშნება წმ. პანტელეიმონის სახელობის რუსულ მონასტერთან დაკავშირებით [პავლიკიანოვი 2001:105-106]. ადრეული შენობა XI საუკუნის დასაწყისით თარიღდება, მაგრამ მონასტერი დღევანდელი სახით მხოლოდ 1765 წელს აშენდა.

ათონის მთაზე არაბერძნული მონასტრების მოკლე ექსკურსი იმის საჩვენებლად დაგვჭირდა, რომ მთელი ორი საუკუნის განმავლობაში ქართველები, როგორც უცხოელები, ათონზე მარტონი იყვნენ. ამ მარტოობით გამოწვეულ უხერხულობას ისინი ჯერ კიდევ პირველი წინამძღვრის, იოანეს სიცოცხლეშივე, მისი დიდი ავტორიტეტის მიუხედავად, მაინც გრძნობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იოანესა და დიდი ლავრის დამაარსებლის, ათანასე დიდის სიცოცხლეში ქართველების ბრალდებას ან მათ წინააღმდეგ ღიად გაბრძოლებას ვერავინ გახედვდა, როგორც ჩანს, მალული დაპირისპირება ათონის ბერძენ და ქართველ ბერებს შორის თავიდანვე იგრძნობოდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჯერ კიდევ იოანეს სიცოცხლეში ათონზე ბენედიქტელი ბერების მისვლის ეპიზოდი. გიორგი ათონელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ მიხედვით, ქართველებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ბენედიქტელებს მთაწმინდაზე დამკვიდრებაში დახმარებოდნენ. იოანე ლათინების მოძღვარ ლეონს, ბენევენტუმის დუკის ძმას, ასეთი სიტყვებით მიმართავს: „ჩუენცა უცხონი ვართ და შენცა უცხო ხარ“ [აბულაძე 1967:65]. გიორგი ათონელი იქვე დასძენს, რომ ქართველებმა ლათინები „ძლით დაარწმუნეს, რამეთუ ენება, რაჲთამცა ერთგან იყვნეს მონასტერსა შინა“. ქართველები მათ სამონასტრო ნაკვეთის ყიდვასაც კი დაჰპირდნენ ათონზე („ჩუენ გიყიდოთ ადგილი“) და სხვა პრაქტიკული დახმარებაც გაუწიეს („ყოვლითავე საკმრითა შეგეწინეთ“). ბუნებრივია, ქართველი ბერების ასეთი მხურვალე დახმარება ლათინებისადმი, ანუ არაბერძენებისადმი, მხოლოდ ქრისტიანული სიყვარულით არ იყო განპირობებული. ეჭვს არ იწვევს ის, რომ მათ, როგორც არაბერძენებს, ათონზე მარტო ყოფნა არ უნდოდათ.

ქართველები ათონზე, როგორც აღვნიშნეთ, X საუკუნის დასასრულს დამკვიდრდნენ, ანუ მაშინ, როცა ბიზანტიური იმპერიალიზმის აყვავება დაიწყო, რამაც მწვერვალს XI საუკუნეში მიაღწია [არველერი 1975:40]. ამგვარად, პატარა ერისთვის იმის გააზრებაც არ შეიძლებოდა, რომ ის უძლიერესი იმპერიის შუაგულში თავის საკუთარ კულტურულ-რელიგიურ ცენტრს გახსნიდა. მაგრამ საგანგებო, ქართველთათვის ერთობ ხელსაყრელი პირობების წყალობით, ეს იდეა განხორციელდა და ქართველებმა, მრავალი და მძიმე ბრძოლისა თუ განსაცდელის მიუხედავად, შეძლეს ათონზე თავიანთი არსებობის შენარჩუნება თითქმის ათი საუკუნის განმავლობაში<sup>2</sup>.

საზოგადოდ მიღებული აზრის თანახმად, X-XI საუკუნეები არის ის პერიოდი, როცა ქრისტიანობის, როგორც ქართული იდენტობის მარკერის, დე-

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ ათონის უკანასკნელი ქართველი ბერები XX საუკუნის დასაწყისში გარდაიცვალნენ.

ტალიზაცია მოხდა. X საუკუნის მიწურულს ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკური გაერთიანების პარალელურად საჭირო იყო პოლიტიკური და კულტურული საზღვრების დამთხვევისთვის ბრძოლა. ამ ბრძოლაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ქართული ენა და მართლმადიდებელი ქრისტიანობა [ჩხარტიშვილი 2007:17]. ორივე (ენაც და სარწმუნოებაც) მეტად ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა ამ მიზნის მისაღწევად, თუმცა, იყო ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი: მართალია, მართლმადიდებლობით ქართული იდენტობა ქმედითად ემიჯნებოდა მეზობელ სომხურ იდენტობას, მაგრამ ისტორიულად ქართველთა პოლიტიკური პარტნიორი და, ამავე დროს, მოქიშვე ბიზანტიაც მართლმადიდებელი იყო. უდიდესი პოლიტიკური და კულტურული პოტენციალის მქონე ბერძნული იდენტობა, უდავოდ, საფრთხეს უქმნიდა ქართულს. ქართული ენა ამ დროისათვის სტანდარტიზებული იყო და ნაციონალური მარკერის ფუნქციას უცვლელად ინარჩუნებდა, ხოლო ქართული იდენტობის რელიგიური მარკერი ახალი ნიშანსებით გამდიდრებას საჭიროებდა, რათა ქართული იდენტობისთვის გამორჩეული ელფერი მიენიჭებინა არა მხოლოდ არამართლმადიდებლებთან, არამედ მართლმადიდებლებთან მიმართებაშიც [ჩხარტიშვილი 2007:18].

ამ საჭიროებამ წამოსწია წინა პლანზე ქართულ და ბერძნულ-ბიზანტიურ მართლმადიდებლობას შორის რაღაც ისეთი სხვაობის მოძებნა, რაც პირველს მეორესთან შედარებით პრივილეგირებულ პოზიციას მიანიჭებდა. „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში „ქართული“ მართლმადიდებლობა „შეურყვევლად“ ხასიათდება, ხოლო „გიორგი ათონელის ცხოვრებაში“ ეს შეურყვეველი მართლმადიდებლობა კონკრეტული ფაქტებით საბუთდება. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ერთი ეპიზოდი „გიორგი ათონელის ცხოვრებიდან“. გიორგი ათონელისა და ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე X დუკას (1059-1067) შეხვედრა. ეს შეხვედრა გიორგის საქართველოში ჩამოსვლამდე უნდა დავათარილოთ, ანუ დაახლოებით 1059-1060 წლებით, რადგან, როგორც ცნობილია, გიორგი საქართველოში ბაგრატ IV-ის (1027-1072) მოწვევით 1060-1065 წლებში იმყოფებოდა. ზემოთ აღნიშნულ შეხვედრაზე იმპერატორმა და ქართველმა ბერმა სარწმუნოებრივი საკითხები განიხილეს. გიორგის ავტორიტეტი ბიზანტიის სამეფო კარზე იმხელა იყო, რომ კონსტანტინე X-მ დამსწრე საზოგადოებას, რომელთა შორის იყვნენ „დიდებულნი და წარჩინებულნი, ჰრომნი და სომეხნი“ [აბულაძე 1967:178] გიორგი შემდეგნაირად წარუდგინა: „დაღაცათუ ნათესავით ქართველი არს, ხოლო ყოვლითურთ წესი ჩუენი ჰმოსიეს“<sup>3</sup>[აბულაძე 1967:177]. იმპერატო-

<sup>3</sup> ის, რომ გიორგი „ნათესავით ქართველია“, ხოლო სწავლულებით ბერძნების სწორი, არაერთხელ არის აღნიშნული ტექსტში. მაგალითად, გიორგის ცნობილ შეხვედრაზე ანტიოქიის პატრიარქ თეოდისისთან. ეს უკანასკნელი პირველად რომ მოუსმენს გიორგის, მას ასე მიმართავს: „ნათესავით ქართველი ხარ, სხვითა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ“ [აბულაძე 1967: [151]. მოგვიანებით კი ასე ახასიათებს გიორგის: „ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩუენივე სწორი ხარ“ [აბულაძე 1967:153]; ამ რამდენიმე ეპიზოდიდან აშკარაა, რომ ამ პერიოდში მართლმადიდებლობა, ბერძნულის ცოდნა და კარგი განათლება ის აუცილებელი კომპონენტები იყო, რომლებსაც ყველა „არაბიზანტიელი“ საჭიროებდა, რათა

რის პირველი შეკითხვა ქართველთა და ბერძენთა (ბიზანტიელთა) სარწმუნოებრივ ურთიერთმიმართებას ეხება და საკითხი ასეა დასმული: „თუ არს რაღა განყოფილებაჲ (ანუ რა განსხვავებაა) სარწმუნოებისა თქუენისაჲ სრულსა მას და უცთომელსა სარწმუნოებასა ბერძენთასა თანა?“ [აბულაძე 1967:178]. აქ საგულისხმო ის არის, რომ სარწმუნოების ერთგვარი იდენტიფიკაცია სწორედ ეროვნული ნიშნით ხდება: იმპერატორს სურს გაიგოს განსხვავება გიორგის თანამემამულეების („თქუენი“), ანუ ქართველების სარწმუნოებასა და ბერძენების სარწმუნოებას შორის. საგულისხმოა, რომ გიორგი მცირე თხრობისას იმავე ხაზს მიჰყვება და, რადგან თვითონ ქართველია, მომდევნო წინადადებაში სარწმუნოებას უკვე „ჩვენად“ იხსენიებს, ასე: „სარწმუნოებაჲ მართალი ნათესავისა ჩუენისაჲ“<sup>4</sup>. ტექსტის ამ მონაკვეთში გიორგის პასუხი სრულად არ არის წარმოდგენილი. ავტორი თავისი მოძღვრის სიტყვის მხოლოდ დასასრულს ურთავს: „და რაჟამს ერთგვის გვცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა მარჯულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს“ [აბულაძე 1967:178].

ქართველების ჰუმანიტარული მართლმადიდებლობა, ანუ სწორი სარწმუნოებრივი გზით სვლა, რაც ზემოთ მოყვანილი ეპიზოდის მიხედვით, მარჯვნივ და მარცხნივ გადახვევას გამოირიცხავს, გიორგის მიერ რეალური, ხელჩასაჭიდი ფაქტითა და არგუმენტით არის გამყარებული. ანტიოქიის პატრიარქმა თეოდოსიმ (1057-1059) შავ მთაზე ქართველების უფლებების დასაცავად და დასასაბუთებლად გიორგის მოუწოდა შავი მთის ბერძენი ბერების რეკომენდაციით. ამ ცნობილ შეხვედრაზე საუბარი ზოგადად ქართველთა მართლმადიდებლობასაც შეეხო. ტექსტის ამ მონაკვეთში მთელი სისავსით ვლინდება გიორგის ერუდიცია და რიტორიკული ნიჭი: „ჩუენ<sup>5</sup> უმეცრად და სუბუჟად გუხედავთ და თავნი თქუენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან. იყო ჟამი, რომელ უოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაჲ არაჲ იპოებოდა და იოვანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას ეკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვნაქსარსა“ [აბულაძე 1967:154]. იოანე გუთელი ეპისკოპოსი მცხეთაში იქნა ხელდასხმული 758 წელს [ლოლაშვილი 1994: 270]. გუთეთის ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეკუთვნოდა და ამის გამო ის საკურთხევლად ბიზანტიაში გაემგზავრა. ამ დროს აქ ხატმებრძოლეობა იყო გავრცელებული, იოანე კი არ უჭერდა მას მხარს. ამიტომ ის მცხეთას გაემგზავრა და ეპისკოპოსად ქართლის კათალიკოსმა იოანემ აკურთხა მცხეთაში. ცნობა ამის შესახებ დაცულია გიორგის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნ „დიდ სვინაქსარში“ [გაბიძაშვილი 2007:411].

<sup>4</sup> ბიზანტიურ მმართველ კლასს ის თავის სწორად მიეჩნია.  
<sup>4</sup> ის, რომ „ჩვენ“ იხმარება ზოგადი ეთნიკური გაგებით და გაიაზრება როგორც „ნათესავით (ანუ ეთნიკურად) ქართველი“, არის ეროვნული თვითშეგნების სრულიად ახალი ეტაპი [ჩხარტიშვილი 2009-ბ: 38].

<sup>5</sup> საგულისხმოა, რომ ყველგან, სადაც კამათია ქართველების მართლმადიდებლობის შესახებ, ქართველებსა და იმპერიის დომინანტ ერს, ბერძენებს შორის დიფერენციაცია და მათ შორის განსხვავებულობაზე მინიშნება ხდება ერთობ მრავლისმთქმელი ნაცვალსახელებით: ჩვენ და თქვენ.

აქ მთავარი იდეოლოგიური ქვეტექსტი ის არის, რომ ბერძნების სარწმუნოების აღმსარებელნი კი ვართ, მაგრამ მათგან განვსხვავდებით. ეს დასაბუთებულია შემდეგნაირად: „ბერძენთა შორის მრავალი წვალეზაა შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრკეს“ [აბულაძე 1967:179], ხოლო საქართველო არასდროს გამხდარა მწვალეზლობების ასპარეზი. ეს იყო მარტივი და გენიალური მიგნება, რომელმაც დიდად განაპირობა ქართული იდენტობის შენარჩუნება შემდგომში საკმაოდ არახელსაყრელ პოლიტიკურ პირობებში, რამდენადაც შექმნა ერთობის იდეოლოგიური საფუძველი. შესაბამისად, XI საუკუნე უნდა მივიჩნიოთ ადრეული ქართული ნაციის ფორმირების ეპოქად [ჩხარტიშვილი 2007:18].

სწორედ ამ დროს ათონის ივერთა მონასტრის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ყველაზე მძიმე თუ არა, ერთ-ერთი მძიმე პერიოდი დგება. 1029-1041 წლებში ათონის მთის ბერძენი ბერები სამჯერ შეიჭრნენ და გაძარცვეს მონასტერი. „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ ბოლო ნაწილის თანახმად, ამის მიზეზი მონასტრის კარგი მატერიალური მდგომარეობა იყო („დრისტი ტურფაჲ იავარ-იქმნა, და ეგრეთვე განძი და კუმაში“ [აბულაძე 1967:93]. ამან გამოიწვია ათონის ბერძნულ და ქართულ საძმოებში დაპირისპირება. თავად ბერძენები თავიანთ საჭციელს იმით ამართლებდნენ, რომ მათ ქართველების მართლმადიდებლობაში ეპარებოდათ ეჭვი. მათი რწმენით, რადგან ქართველები ბერძნულად არ ლაპარაკობდნენ და, რაც მთავარია, მათ ენაზე არ სწირავდნენ, ისინი იყვნენ ერეტიკოსები. ამგვარად, ქართველებისთვის და იმპერიაში მცხოვრები სხვა მართლმადიდებელი არაბერძენებისთვის ეროვნული ლიტურგიის ენისთვის ბრძოლა ეროვნული კულტურისა და, საერთოდ, ეროვნული უფლებებისთვის ბრძოლად გადაიქცა [ბოლქვაძე 2005:74]. ამას გარდა, ქართული ჟამისწირვა ქართული ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის მიმანიშნებელ ორ ფაქტორთაგან ერთ-ერთია (მეორე მხრის კურთხევაა) [ბოლქვაძე 2005:77].

ასეთ დაძაბულ ვითარებაში, ანუ XI საუკუნის 30-იან წლებში ქართველებს სჭირდებოდათ აქტიურად დაეცვათ თავიანთი უფლებები ათონის მთაზე. მათ ორ ფრონტზე უნდა ებრძოლათ: ერთი მხრივ, პოლიტიკურ დონეზე, რომ მოეპოვებინათ ბიზანტიელ იმპერატორთა კეთილგანწყობა და, მეორე მხრივ, იდეოლოგიურ ფრონტზე, რათა დაემტკიცებინათ თავიანთი მართლმადიდებლობის შეურყეველობა<sup>6</sup>. იმისათვის, რომ ორსავე ასპარეზზე მოეგოთ, მათ სჭირდებოდათ წარმოშობით ქართველი წმინდანი, რომელიც დაფასებული და აღიარებული იქნებოდა როგორც კონსტანტინოპოლის ეკლესიისგან, ასევე ბიზანტიის საიმპერატორო კარზე. ამგვარად,

<sup>6</sup> არამართებული მართლმადიდებლობა ყოველთვის ეფექტური საშუალება იყო არაკეთილმოსურნის განსაღვინად. აღსანიშნავია, რომ ათონის მთაზე XI-XVI საუკუნეებში ერეტიკული ახროვნება სხვა ორ მიზეზთან ერთად (ტიპიკონის დარღვევა და მონასტრების დაცვის აუცილებლობა) სწორედ ის საბაზია, რომელიც გამონაკლისის გარეშე ისჯებოდა [პავლიკიანოვი 2002:161]. შესაბამისად, ქართველები ამ საბაზით იდენტიფიცირდნენ, მაგრამ რეალური მიზეზი ყოველთვის უფრო კონკრეტული და უფრო მატერიალური იყო, ვიდრე „ერეტიკული ახროვნება“.

მათი ყურადღება მიპყრობილ იქნა ილარიონ ქართველზე (822-875) მისი პოპულარობის გამო.

ილარიონ ქართველი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. ის პირველი ქართველი ბერია, წყაროებიდან ცნობილი, რომელიც ბიზანტიის იმპერიის შუაგულში დასახლდა. ილარიონი არაჩვეულებრივ „საშუალებად“ გადაიქცა ათონზე ქართველების უფლებების განსამტკიცებლად. ამის გამო არა მარტო ილარიონის ცხოვრების სხვადასხვა ვერსია შეიქმნა ათონზე, არამედ – მისადმი მიძღვნილი საეკლესიო ჰიმნებიც<sup>7</sup>.

„ილარიონ ქართველის ცხოვრება“, როგორც ტექსტი, უწინარესად იმ თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი, რომ ის პირველი თხზულებაა, რომელიც ქართველების მესიანისტურ შეხედულებას გამოხატავს ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანასთან დაკავშირებით<sup>8</sup>. ეს იდეა პირდაპირ თუ ირიბად ეგრეთ წოდებულ ათონურ აგიოგრაფიულ ტექსტებშიც არის გატარებული, მაგრამ „ილარიონის ცხოვრება“ ქრონოლოგიურადაც უსწრებს მათ და შესაბამისი პასაჟიც უფრო კონკრეტულია (ამ ეპიზოდს უფრო ვრცლად ქვემოთ მიმოვიხილავთ).

საკმაოდ ლოგიკურია ს. მახარაშვილის ვარაუდი, რომ ღვთისმშობლის კულტი ქართულ მესიანისტურ იდეაში ჩნდება სწორედ ბერძნებთან დაპირისპირების პროცესში [მახარაშვილი 2009:210]. მათი სიამაყე, კონსტანტინოპოლი ხომ ღვთისმშობლის უშუალო მფარველობის ქვეშ მყოფ ქალაქად იქნა მიჩნეული გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ VII საუკუნეში [ნიკოლი 2008:54]. მარადქალწული მარიამის მიერ ქართველთა მფარველობის შეგნებამ განსაკუთრებით ღრმად გაიდგა ფესვი ათონელ მოღვაწეთა შორის. მათ მთავარი ტაძარი („დიდი ეკლესია“), ანუ კათოლიკონი სწორედ ღვთისმშობლის სახელზე ააგეს. ისინი ათონზე გამონაკლისნი არ ყოფილან. კიდევ ორი დიდი მონასტრის, დიდი ლავრისა და ვატოპედის მთავარი ტაძრები ღვთისმშობლის სახელობისაა [ხრისოხოიდისი 2005:140]. თუ გავისხენებთ, რომ სამივე X საუკუნეშია დაარსებული, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ღვთისმშობლის კულტი ათონზე ორგანიზებული მონასტრების გაჩენის პერიოდში, ანუ X საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით ძლიერია<sup>9</sup>. ეს ნიუანსი აძლიერებს ჩვენს ვარაუდს, რომ ღვთისმშობლის ფაქტორი ქართულ მესიანისტურ აზროვნებაში სწორედ ათონის მთის ქართულ საძმოში გაჩნდა

<sup>7</sup> ილარიონის კულტი ათონზე, როგორც ჩანს, მონასტრის დაარსებისთანავე დამკვიდრდა. შემთხვევითი არ არის ის, რომ მისი „ცხოვრების“ მოკლე რედაქციის ყველაზე ადრინდელი ვარიანტი ექვთიმე ათონელის ავტოგრაფად მიჩნეულ 990 წლის ხელნაწერშია მოთავსებული.

<sup>8</sup> „წმიდა ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ჰელიოზურ რედაქციაში აშკარად გამოხატული ღვთისმშობლის კულტი არ ჩანს და წმინდა ნინოს დაკავშირება ღვთისმშობელ მარიამთან შედარებითი გვიანი ლიტერატურული ტრადიციაა [მახარაშვილი 2009:212-214]. ის, რომ დედა ღვთისას კულტი ქართულ რეალობაში ასე გვიან მკვიდრდება, გასაკვირი არ არის, რადგან თვითონ ბიზანტიურ ეპოქაში ღვთისმშობლის დამკვიდრება შედარებით გვიან, VI-VII საუკუნეების მეორე ფიქსირდება [მაგუაიარი 2005:189-190].

<sup>9</sup> თუმცა ის აქ გაცილებით ადრეც არსებობდა იქ მცხოვრებ ცალკეულ ასკეტ ბერებში [ხრისოხოიდისი 2005:140].



და განვითარდა X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის პირველ ნახევარში. ამ ვარაუდს ქვემოთ წერილობითი წყაროების მასალით გავამყარებთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ღვთისმშობელი არა მარტო ქართული მესიანისტური აზროვნების მთავარი კომპონენტია, არამედ ზოგადად მთელი ათონის მთისაც. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ათონურ წერილობით წყაროებში ღვთისმშობელი, როგორც მთაწმიდის მფარველი, მხოლოდ XVI საუკუნიდან, ანუ გაცილებით გვიანი პერიოდიდან იხსენიება [ხრისოხოიდიისი 2005:140]. თქმულება ათონის მთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ ყოფნის შესახებ კონკრეტული ისტორიული რეალობის შედეგად გაჩნდა: რამენაირად დაძლეულიყო ის კრიზისი და დაცემა, რაც ბიზანტიურმა სამყარომ ოსმალთა იმპერიის მიერ მისი დედაქალაქის დაპყრობის შემდეგ განიცადა. ამგვარად, ამ ადგილის საკრალიზაციას უნდა წარმოეჩინა და ხაზი გაესვა წარსულის დიდებასა და პრესტიჟზე მთელ აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში [ხრისოხოიდიისი 2005:140]. ამ მცდელობის შედეგად, სწორედ XVI საუკუნიდან დღემდე ათონი მიჩნეულ იქნა ღვთისმშობლის ბაღნარად (το Περιβόλι της Παναγίας Θεοτόκου), ხოლო ღვთისმშობლის ათონზე არსებული ხატები – ამ ბაღნარის ყვავილებად [ხრისოხოიდიისი 2005:141]. სწორედ რეალობის შედეგი და გამოძახილი იყო ღვთისმშობლის ქართულ მესიანისტურ რწმენაში გაჩენა, რაც ზოგადად ათონურ ტრადიციას მთელი 5-6 საუკუნით უსწრებს წინ.

ივირონის კათოლიკონი დღესაც იწვევს მნახველის აღფრთოვანებას და არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ის თავიდანვე მოექცა ბერძნების ყურადღების ცენტრში. პირველივე კონფლიქტის დროს მათი მიზანი სწორედ ამ ტაძრის მითვისება იყო: „არა განგუთხინა წმიდამან ღმრთის-მშობელმან ტაძრისაგან თჳსისა, რომლისა – იგი ჰელ-ყვეს ყოვლითავე ღონის-ძიებითა, რაჲთამცა, ვინაჲთგან მონასტერი ვერ წაგჳლეს, ბარემცა დიდი ეკლესიაჲ რაჲთ მიგჳლეს“ [აბულაძე 1967:97].

„იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ არის კიდევ ერთი დეტალი, რაც ათონის ქართველი ბერების ღვთისმშობლისადმი განსაკუთრებულ მოწიწებას ადასტურებს. ეს ტექსტი არა მარტო მონასტრის დაარსების დეტალებს გვაცნობს, არამედ მისი ტიპიკონის პირველად ვარიანტსაც, რადგან, როგორც ცნობილია, ასეთი ტექსტი ცალკე არ არის ჩვენამდე მოღწეული. თხზულების იმ მონაკვეთში, სადაც მონასტრის შიდა განაწესთან დაკავშირებული დეტალებია მოთხობილი, გიორგი ათონელი ასეთ საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის: „ოდესცა ეკლესიას შევიდოდინან – პირველად მამაჲ ეფთჳმე და მერმე ძმანი ყოველნი – ვიდრე მუჴლთა ზედა არა მოდრკიან, და თაყუანის-სციან წმიდასა ღმრთის-მშობელსა, რომელ არს ბჳეთა ზედა, არა შევიდინან“ [აბულაძე 1967:71]. ამ ეპიზოდში ორი ძირითადი ნიუანსია ყურადღებასამსაქცევ: 1. ტრადიცია ჯერ კიდევ ექვთიმეს მამასახლისობიდან არსებობს, ანუ დაწერგილია 1005-1019 წლებში; 2. ეკლესიაში შესვლამდე ჯერ ექვთიმე (ანუ მონასტრის მამასახლისი), ხოლო შემდეგ მონასტრის

ყველა ბერი აუცილებლად მუხლს იდრეკდა და თაყვანს სცემდა ღვთისმშობლის ხატს, რომელიც ტაძრის შესასვლელში, ანუ „ბჭეთა ზედა“ ეკიდა. ის, რომ „ცხოვრების“ ამ ეპიზოდში ღვთისმშობლის ცნობილი სასწაულთმოქმედი ხატი პორტაიტისა, ანუ კარისა იგულისხმება, ეჭვგარეშეა და საკამათო არ არის<sup>10</sup> [გრძელიძე 2009:172]. პორტაიტისა ივირონის მფარველი და მისი ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდეთაგანია [ხრისოხოიდისი 2005:133]. მისი მნიშვნელობა მთელი ათონის მთისთვის განუზომელია, რადგან ის წყაროებში დაფიქსირებული ყველაზე ძველი სასწაულთმოქმედი ხატია მთელ ათონის მთაზე [ხრისოხოიდისი 2005:133]. ხელოვნებათმცოდნეები მას X საუკუნის ბოლოთი და XI საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ, რაც იმას გვაგვარაუდებინებს, რომ ის ჯერ კიდევ მონასტრის პირველი წინამძღვრის, იოანეს სიცოცხლეშივე არსებობდა [ხრისოხოიდისი 2005:133]. ეს ხატი იმდენად შეესისხლხორცა ივერთა მონასტერს, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში მონასტერი ხშირად ასე იხსენიებოდა: „ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მონასტერი პორტაიტისად წოდებული“ [ხრისოხოიდისი 2005:134].

ზოგადად, ათონელების ცხოვრებაში, ანუ ორსავე ტექსტში იმდენი მასალა მოიპოვება, რაც ქართველი ბერების ღვთისმშობლისადმი განსაკუთრებულ მოწიწებას ადასტურებს, რომ ეს ამყარებს ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს: ღვთისმშობლის კულტი ქართულ მესიანისტურ რწმენაში ათონის ივერთა მონასტერში გაჩნდა.

ახლა „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ცნობა მიმოვიხილოთ. ეს რედაქცია ერთადერთ ხელნაწერში, ე. წ. ათონის კრებულში მოიპოვება, რომელიც 1074 წლით თარიღდება. ტექსტი გაცილებით ადრინდელი უნდა იყოს<sup>11</sup>. „ცხოვრების“ ერთი ეპიზოდი მთელი სიზუსტითა და სიცხადით გამოხატავს ქართველების მესიანისტურ რწმენას. იმ პასაჟში, სადაც ღვთისმშობელი გულჭვაობის გამო საყვედურობს ულუმბოს მთის წინამძღვარს, ვხვდებით ერთობ საინტერესო წინადადებას: „არა უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკვიდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი და ცხოვრებად არიან ღმრთისა მიერ? და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან, რამეთუ ჩემდა მონიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურყვევლად მართლმადიდებლობისათვის მათისა, ვინაჲთგან ჰრწმენა სახელი ძისა ჩემისა და ნათელ-იღეს“ [აბულაძე 1967:20]. ეს პასაჟი მრავალი თვალსაზრისით არის საყურადღებო<sup>12</sup>. გარდა იმისა, რომ პირველი ნარატიული ძეგლია, რომელიც პირდაპირ საუბრობს ქართველების რჩეულობაზე, ის გამოხატავს ქართველთა მტკიცე კავშირს

<sup>10</sup> ამ ხატის მოკლე ისტორია იხ. [ხრისოხოიდისი 2005:133].

<sup>11</sup> „ილარიონის ცხოვრების“ 4 რედაქციიდან ვრცელისა და მოკლე რედაქციების ურთიერთმიმართება და, შესაბამისად, შექმნის დათარიღება დღემდე საკამათოა. ამაზე ჩვენ უყურადღებებს არ შევაჩერებთ. უბრალოდ, აღვნიშნავთ, რომ ორივე არაუგვიანეს XI საუკუნის პირველ ნახევარშია დაწერილი.

<sup>12</sup> აღსანიშნავია, რომ ღვთისმშობლისადმი ქართველთა წილხვედრილობის შესახებ პასაჟს „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ მხოლოდ ვრცელ რედაქციაში ვხვდებით.

თავიანთ ენასთან. აქ ენობრივი ფაქტორი პირველ ადგილზე დგას, შემდეგ საუბარია ქართველი ერის რჩეულობაზე და შემდეგ, ქართველთა მართლმადიდებლობის სარწმუნოებაზე. სწორედ ამ სამწახნაგოვან პრინციპს (მესიანისტური რწმენა, ენის მნიშვნელობის შეგნება და მართლმადიდებლობა) დაეფუძნა მთელი ის თეორია, რომელიც ქართული პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძველი გახდა. ამ მონაკვეთში არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ღვთისმშობლის მიერ ქართლის რჩეულობა არგუმენტირებულია: ქართველთა „შეურყეველი მართლმადიდებლობა“ სწორედ ის ფაქტორია, რომელმაც განაპირობა მათი ღვთისმშობლის წილხვედრილობა. ეს დებულება, ანუ მტკიცე მართლმადიდებლობა ქართველების, როგორც რჩეული ერის, ღირსება „აბოს მარტილობაშიც“ ჩანს, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალური ხდება X-XII საუკუნეების ქართულ მწერლობაში და წარმატებით გამოიყენება დიოფიზიტ ბერძნებთან და მონოფიზიტ სომხებთან დაპირისპირებაში [მახარაშვილი 2007:377].

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის განსაკუთრებულობა ტექსტის კიდევ ერთ მონაკვეთშია ხაზგასმული: როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი I მაკედონელმა (867-886) თავისი შვილები ლეონი და ალექსანდრე რომანას ქართულ მონასტერში ქართველ ბერებს მიუყვანა, სთხოვა: „ლოცვა ყავთ ამათჳს, წმიდანო მამანო, და ასწავეთ წიგნი და ენაჲ თქუენი, რათა იყვნენ ეგე შვილნი ლოცვისა თქუენისანი“ [აბულაძე 1967:33].

ქართული ენის ღვთაებრიობის იდეა ცოტა უფრო ადრინდელია. ის ჩამოაყალიბა ბერმა იოანე-ზოსიმემ თავის ცნობილ „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“-ში, რომელიც ხოტბას ასხამს ქართულ ენასა და მის განსაკუთრებულ მისიას: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებულად... და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან“ [იოანე ზოსიმე 1959:283]. ამ ტექსტის ანალიზს ახლა არ შევუდგებით. უბრალოდ, დავძენთ, რომ ამ ტექსტში არაფერია ნათქვამი ქართველების, როგორც ღვთისმშობლის რჩეულ ერზე. ამიტომ ათონური ტექსტები ორმაგად მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით: ისინი გამოხატავენ რჩეული ხალხისა და რჩეული ენის იდეას ერთ მთლიანობაში, ანუ საუბარია ქართული ენის ღვთაებრიობასა და ქართველი ერის რჩეულობაზე არა ცალ-ცალკე, არამედ მთლიანობაში.

„იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ არის მოხსენიებული ქართული ენა, როგორც ქართველების ეროვნულობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ელემენტი. ექვთიმეს განკურნების ცნობილ პასაჟში ორმაგ განკურნებაზეა საუბარი: ექვთიმე ავადმყოფობისგანაც განიკურნა და ქართულად ლაპარაკიც დაიწყო, რომელზეც მანამდე საუბარი უჭირდა, რადგანაც ის ბიზანტიის იმპერიაში იყო აღზრდილი. ამ პასაჟში საგანგებოდ არის ხაზგასმული ის მომენტი, რომ დედა ღვთისა ექვთიმეს ქართულად დაელაპარაკა („მრქუა ქართულითა ენითა“): „არარაჲ არს ვნებაჲ შენ თანა, აღდეგ, ნუ გემინინ და ქართულად კსნილად უბნობდე“ [აბულაძე 1967:61]. უნდა აღინიშნოს, რომ

